ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №112

ქ. თბილისი 20 ივლისი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნონა ღუდუშაურის** სახით და მეორეს მხრივ სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ მენთეშაშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “ **საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი (ობიექტი)

1.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი) (საკუთარი სახსრებით) შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის მიწოდებული ინფორმაციის, ნიმუშის შესაბამისად 33 ცალი სერტიფიკატის დაბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. CPV კოდი - 79810000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს: 231,00 (ორასოცდათერთმეტი) ლარს (ერთი ცალი სერტიფიკატის დაბეჭდვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 7,00 ლარს).

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავ მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები (ვადები)

4.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, კოტე მარჯანიშვილის ქ.5.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის **2022 წლის 20 ივლისიდან 2022 წლის 30 ივლისამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია სსიპ კოლეჯის „მერმისი“ ლოჯისტიკის სპეციალისტი მაია მაისურაძე.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება (ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე) მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;.

- მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრა დააკისროს მიმწოდებელს თავისივე ხრჯებით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 20 ივლისიდან 2022 წლის 31 აგვისტომდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 მხარეთა შორის ორი სამუშაო კვირის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და ვალდებულებები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი „მერმისი"

მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა , ს/კ 209467646;

სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა.ა. 709097519

ორგანიზაციული კოდი 32030111

დირექტორი: ნონა ღუდუშაური

_____

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი

ს/ნ: 202886172

მის: ქ.თბილისი, კოტე მარჯანიშვილის ქ. 5, ტელ: +995 32 295-36-41

ბანკი: სს თიბისი ბანკი, ბ/კ: TBCBGE22

ანგ.სწ.ანგ. GE64TB7999136080100009

გენერალური დირექტორი: ვასილ მენთეშაშვილი

_____

(ხელმოწერა)

JSC Bechdviti Sitkvis Kombinati

Digitally signed by JSC Bechdviti Sitkvis Kombinati
Date: 2022.07.21 10:26:27 +04'00'